ერიდეთ ქალებთან შესვლას», — მაშინ ანსარიდან ერთმა თქვა: ო ალლაჰის მოციქულო, რას იტყოდით ქმრის ნათესავებთან დაკავშირებით ?" მოციქულმა უპასუხა: «ქმრის ნათესავი — ეს არის სიკვდილი

გადმოცემულია 'უყბა იბნ 'აამირისგან(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ერიდეთ ქალებთან შესვლას», — მაშინ ანსარიდან ერთმა თქვა: ო ალლაჰის მოციქულო, რას იტყოდით ქმრის ნათესავებთან დაკავშირებით ?" მოციქულმა უპასუხა: «ქმრის ნათესავი — ეს არის სიკვდილი».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა უცხო ქალებთან შერევის შესახებ და თქვა: თავი დაიცავით იმისგან, რომ ქალებთან მარტო შეხვიდეთ, და ასევე ქალებმა თავი აარიდონ თქვენთან მარტო შემოსვლას. ანსარებიდან ერთმა კაცმა ჰკითხა: რა ვქნათ ქმრის ნათესავებთან; როგორებიც არიან მისი ძმა, ძმისშვილი, ბიძა, ბიძაშვილის შვილი, დისშვილი და სხვები, რომლებიც ქალისთვის დასაშვები იქნებოდნენ ქორწინებისთვის, თუ იგი გათხოვილი არ იქნებოდა? ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «გაფრთხილდით მათგან ისე, როგორც სიკვდილისგან!» ეს იმიტომ, რომ ქმრის ნათესავებთან (როგორც მაგალითად, ძმა ან ბიძაშვილი) განმარტოება იწვევს ცდუნებასა და რელიგიურ განადგურებას, ქმრის ნათესავები, რომლებიც არ არიან მისი მამა ან შვილები, უფრო მეტად უნდა აირიდოს ქალმა, ვიდრე სრულიად უცხო მამაკაცები, რადგან ქმრის ნათესავთან განმარტოება უფრო ხშირია და მასთან დაკავშირებული ბოროტება უფრო მოსალოდნელია, ვიდრე უცხოსთან. ეს ცდუნება კიდევ უფრო შესაძლებელია, რადგან ქმრის ნათესავებს უფრო მარტივად შეუძლიათ ქალთან ურთიერთობის დამყარება და განმარტოება საზოგადოების უკმაყოფილების გარეშე, ასევე მათი თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია, რადგან მათთან გარკვეული ურთიერთობა აუცილებელია და ხშირად საზოგადოებაში ეს ნორმად ითვლება, ამიტომ, ქმრის ნათესავთან განმარტოება ჰგავს სიკვდილს სირთულითა და ბოროტებით, რაც შეეხება სრულიად უცხო მამაკაცს, მასთან ფრთხილად ყოფნა უკვე ისედაც გასაგებია.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5888

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee